

შეფასების შიში როგორც დაბალი აკადემიური მოსწრების და
სოციალური შფოთვის რისკ-ფაქტორი დაწყებითი საფეხურის
მოსწავლეებში

თინათინ ალუდაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კურსის ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

1. აბსტრაქტი.....	3
2. შესავალი.....	5
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
3.1. შფოთვის განმარტება.....	6
3.2. შფოთვის სიმპტომები.....	8
3.2.1. ფიზიკური სიმპტომები.....	8
3.2.2. სიმპტომები ბავშვებსა და მოზარდებში.....	9
3.3. შფოთვის ეტიოლოგია.....	10
3.3.1. ბიოლოგიური.....	10
3.3.2. ფსიქოდინამიკური.....	11
3.3.3. ბიჰევიორალური.....	11
3.3.4. კოგნიტური.....	11
3.4. შფოთვის გართულებები.....	12
3.5. სოციალური შფოთვის ტესტირება და დიაგნოზი.....	12
3.6. პრობლემის გადაწყვეტის საშუალება.....	14
3.6.1. ფსიქოლოგიური მიდგომა.....	14
3.7. შეფასების გადაჭარბებული შფოთვა.....	15
4. თანამედროვე კვლევები.....	16
5. საკვლევი საკითხის განსაზღვრა.....	19
5.1. კვლევის მიზანი.....	20
5.2. ჰიპოთეზა.....	20
5.3. საკვლევი საკითხი.....	20
5.4. სამიზნე აუდიტორია.....	20
6. კვლევის მეთოდი.....	21

7. კვლევის აღწერა.....	23
8. შედეგების ანალიზი.....	24
9. დასკვნა.....	29
10. შეზღუდვა.....	29
11. რეკომენდაციები.....	30
12. ბიბლიოგრაფია.....	31
13. დანართი 1	33
14. დანართი 2	34

აბსტრაქტი

საქართველოში განხილვისა და მსჯელობის აქტუალური საგანს წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემა და მასში მიმდინარე ცვლილებები. განსაკუთრებით პრობლემატურია საჯარო სკოლა და ამ გარემოში მოსწავლეთა მიღწევები, აკადემიური მოსწრების დონე და მისი ზრდა კლების ხარისხი. აღნიშნული საკითხები კიდევ უფრო აქტიურად იჩენს თავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გარდამავალ პერიოდებში. ამ პერიოდებში თავს იჩენს ხოლმე აკადემიური მოსწრების დონის კლება; მშობლებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან ურთიერთბრალდებების მატება. რეალურად კი ამ პრობლემის მიზეზი უცნობია და კვლევების მიღმა რჩება. დაწყებითი საფეხურის მე-5 - მე-6 კლასებში, ჯერაც არ არის ნაკვლევია თუ რა მიზეზები იწვევს აკადემიური მოსწრების გაუარესებას. ესაა დრო, როდესაც მოსწავლეები გადადიან ქულებით შეფასების ახალ სისტემაზე, რაც თავისთავად მათთვის სიახლეა, და აღიქმება როგორც „საფრთხის შემცველი“. შესაბამისად მათში მატულობს შიში და მღელვარება. ამ ყოველივეს სახელდება შესაძლებელია მოხდეს ტერმინი „შფოთვით“, რომლის შინაარსიც გამოხატავს გაურკვეველი / გაუცნობიერებელი ობიექტისადმი ყოვლისმომცველ შიშს.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს დაწეული აკადემიური მოსწრების დონის მქონე ბავშვებში გამოხატული შფოთვის ტიპის გამოვლენა, ანუ ბავშვებში რომელთა აკადემიურმა მოსწრებამაც იკლო ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

სოციალური შფოთვის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია სოციალური კავშირების ინტერპრეტაციებთან, წარმატება-მარცხის შეუსაბამო ატრიბუციებთან და ინტერნალური თუ ექსტერნალურ საფრთხის მიმანიშნებლებისადმი ზედმეტ ყურადღებასთან. კოგნიტურ-ბიჰევიორისტ მკვლევართა მონაცემებით, უარყოფითი

შეფასების შიში არის სოციალური შფოთვის ძირითადი მახასიათებელი (Clark & Wells, 1995; Rapee & Heimberg, 1997). ყოველივეს გათვალისწინებით, მოცემულ კვლევაში გამოიყენებოდა ორი სახის კითხვარი. ესენია:

- უარყოფითი შეფასების შიშის შკალა
- სოციალური ურთიერთობების შფოთვის შკალა

მონაცემებით გამოიკვეთა, რომ მე-5 და მე-6 კლასებში აკადემიური მოსწრების რისკ-ფაქტორი არის უარყოფითი შეფასების შიში. ამასთანავე, VI კლასში სოციალური ურთიერთობების შფოთვის უფრო მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა (25%) ვიდრე V კლასში (13%). ყურადსაღებია ისიც, რომ ყოველ იმ მოსწავლეს, რომელთა აკადემიური მოსწრების დონემაც იკლო ბოლო ერთი წლის განმავლობაში და რომელთაც აღენიშნებათ სოციალური ურთიერთობების შფოთვა (V კლასი - 13; VI კლასი - 25), ასევე აღენიშნებათ უარყოფითი შეფასების შიშიც ($p= 0.52$)

ეს ყოველივე ნამდვილად საჭიროებს ყურადღების მიქცევას, რათა შესაძლებელ იქნას მომავალი გართულებების თავიდან აცილება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აკადემიური მოსწრების დონე; შფოთვა; სოციალური ურთიერთობების შფოთვა; უარყოფითი შეფასების შიში